

**როგორ გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა შორის
თანამშრომლობა პრაქტიკული კვლევების მეშვეობით**

ელისო დუაძე

შორენა ბითაძე

თეონა ხვედელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასისტენტ-
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელისო დუაძე /ე.დუაძე/

შორენა ბითაძე /შ.ბითაძე/

თეონა ხვედელიძე /თ.ხვედელიძე/

26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს თემაზე: როგორ გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა პრაქტიკული კვლევების მეშვეობით.

კვლევა განხორციელდა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ. კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება მასწავლებლებს შორის პროფესიული კავშირების გაუმჯობესება პრაქტიკული კვლევის საშუალებით. საკვლევო კითხვები შეეხება მასწავლებლების მოტივაციას, ორგანიზაციულ კლიმატს, პედაგოგიური კვლევის კომპეტენციებს და უნარებს.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით. გამოყენებული მეთოდებია: ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დაკვირვება.

ინტერვენციის სახით მასწავლებლების მიერ ჩატარდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები, რომლის მიხედვით შეფასდა თანამშრომლობის ხარისხი.

ჩატარებული ინტერვენციების შედეგად თანამშრომლობითი ურთიერთობები აქტუალური გახდა, კვლევამ ავტომატურად, დააკავშირა მასწავლებლები ერთმანეთს, თუმცა, ამან მიიღო ფორმალური და ვალდებულებითი სახე.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა სათავეს დაუდებს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაჯანსაღებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თანამშრომლობა, პრაქტიკული კვლევა, ადმინისტრაცია, გაუმჯობესება, ორგანიზაციული კლიმატი.

Abstract

This work presents a hands-on research report on how to improve cooperation between teachers through practical studies.

The survey was conducted in one of Tbilisi public schools, by students of Ilia State University's Education Administration Master Program. The aim of the research is to show how the improvement of professional ties between teachers can be done through practical research. Study questions concern the teachers' motivation, organizational climate, competences and skills of pedagogical research.

The survey was carried out by qualitative methodology. The methods used are: focus group, in-depth interviews, observation.

The interventions were conducted by teachers in pedagogical practice studies, which evaluated the quality of cooperation.

As a result of the interventions, co-operative relationships became relevant, the study automatically linked the teachers to each other, but it got a formal and obligatory face.

We hope that our research will create an emphasis on strengthening co-operation between teachers.

Key words: cooperation, practical research, administration, improvement, organizational climate.

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს - ნათია ანდლულაძეს, კვლევის განხორციელებისთვის და ნაშრომის დამუშავებაში გაწეული დახმარებისთვის.